საქართველოს გულის რიტმის ასოციაცია
Georgian Heart Rhythm Association

საქართველოს გულის რიტმის ასოციაცია
GEORGIAN HEART RHYTHM ASSOCIATION

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის მინისტრს

ბ-ნ დავით სერგეენკოს

18.09.2017

ბატონო დავით, მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს გულის რიტმის ასოციაცია მართავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სიმპოზიუმს „თანამედროვე და სამომავლო ტექნოლოგიები რთული ტაქიარითმიების მკურნალობაში". ღონისძიებაში მონაწილეობენ ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები, მათ შორის საქართველოს პირველად ეწვევა მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი, ევროპის გულის რიტმის ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი და ჩემი პირადი მასწავლებელი პროფესორი ჯოზეფ ბრუგადა.

საქართველოს გულის რიტმის ასოციაციის სახელით მინდა მოგიწვიოთ აღნიშნულ ღონისძიებაზე. მოხარული ვიქნებით, თუ მობრძანდებით და გახსნით სიმპოზიუმს.

ღონისძიება ტარდება სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიას" მოპირდაპირედ მდებარე მულტიფუნქციურ ცენტრში „რესპუბლიკა".

წერილს თან ვურთავთ ღონისძიების სამუშაო პროგრამას.

პატივისცემით,

გიორგი პაპიაშვილი

საქართველოს გულის რიტმის ასოციაციის პრეზიდენტი

თბილისი, ლუბლიანას ქ. 21, 0159, ტელ.: +995 32 2540664; ფაქსი: +995 32 2540662
21, Ljubljana str., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 2540664; Fax: +995 32 2540662
E-mail: info@gehra.org; Web-site: www.gehra.org

სიმპოზიუმის დღის წესრიგი

დღე 1, 13 ოქტომბერი, 2017

10:00 - 10:45 მონაწილეთა რეგისტრაცია

10:45 - 11:00 **სიმპოზიუმის გახსნა**

10:45 სიმპოზიუმის გახსნა
10:50 მისალმება **გიორგი პაპიაშვილი** (თბილისი, საქართველო), GeHRA-ის პრეზიდენტი
10:55 მისალმება **შტეფან ლინდერი** (მედტრონიკი, ავსტრია)

11:00 - 12:50 **გამოწვევები პარკუჭოვანი არითმიების მკურნალობაში**
თავმჯდომარეები: გ. პაპიაშვილი, ჯ. ბრუგადა, ი. გიორგბერიძე, ხ. ჯალაბაძე

11:00 იონური არხების თანდაყოლილი პათოლოგიების
დიაგნოსტიკა და მკურნალობა **ჯ. ბრუგადა** (ბარსელონა, ესპანეთი)
11:30 პარკუჭოვანი ტაქიკარდიის კათეტერული აბლაცია
გულის სტრუქტურული პათოლოგიის დროს **ი. გიორგბერიძე** (ჰიუსტონი, აშშ)
12:00 იდიოპათიური პარკუჭოვანი ტაქიკარდიების
კათეტერული აბლაცია **გ. პაპიაშვილი** (თბილისი, საქართველო)
12:20 ICD შოკების პრევენცია: რატომ და როგორ? **ხ. ჯალაბაძე** (თბილისი, საქართველო)
12:35 ICD-ის გამოცვლის სიძნელეები:
რას გვასწავლიან ახალი კლინიკური კვლევები **გ. ჩხოლარია** (თბილისი, საქართველო)

12:50 - 13:50 **ლანჩის შესვენება**

13.50 - 14.35 GeHRA-ის განსაკუთრებული სტუმარი: დიდი პლენარული მოხსენება
ეკგ-ის როლი კათეტერული აბლაციის ერაში **ჯ. ბრუგადა** (ბარსელონა, ესპანეთი)

14:35 - 15:30 **ინოვაციები იმპლანტირებად მოწყობილობებში: რა არის ახალი 2017 წელს?**
თავმჯდომარეები: კ. ეცადაშვილი; გ. დურაი; ს. ბრუკნერი, ი. დუმპისი

14:35 უკაბელო პეისმეიკერი Micra: ინოვაციური ტექნოლოგია
და კლინიკური კვლევის შედეგები **გ. დურაი** (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
14:55 როგორ მივაღწიოთ საუკეთესო შედეგს გულის
რესინქრონიზაციური თერაპიის დროს **კ. ეცადაშვილი** (თბილისი, საქართველო)
15:15 იკდ-ის ჩვენებები არაიშემიური კარდიომიოპათიის დროს
2017 წელს **ი.დუმპისი** *(სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)*

15:30 - 15:45 **ყავის შესვენება**

15:45 - 17:15 **თანამედროვე მიდგომები წინაგულთა ფიბრილაციის მკურნალობაში**
თავმჯდომარეები: ზ. მათოშვილი, რ. ჰატალა, გ. ჩხოლარია, პ. ჰლივაკი

15:45 ინოვაციური მიდგომები წინაგულთა ფიბრილაციის
ინვაზიურ მკურნალობაში **პ. ჰლივაკი** (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
16:15 წინაგულთა ფიბრილაციის კრიოაბლაცია:
საქართველოს გამოცდილება **ზ. მათოშვილი** (თბილისი, საქართველო)
16:30 წინაგულთა ფიბრილაციის აბლაცია ფაზური რადიოსიხშირით:

	სად ვართ დღეს?	**გ. პაპიაშვილი** (თბილისი, საქართველო)
16:45	იმპლანტირებადი მარყუჟოვანი ჩამწერის როლი წინაგულთა ფიბრილაციის დიაგნოსტიკაში და ინსულტის პრევენციაში	**რ. ჰატალა** (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
17:00	ახალი ტექნოლოგიები წინაგულთა ფიბრილაციის მკურნალობაში: ეკონომიკური მხარე	**ს. ბრუკნერი** (ბერლინი, გერმანია)

17:15 - 17.30 **დისკუსია, სერტიფიკატების გაცემა**